



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კორბო ვირჯილიო

კორბო ვირჯილიო (Virgilio Canio Corbo) (8. VII. 1918, ავილიანო, იტალია, – 6. XII. 1991, კაპერნაუმი, ისრაელი), იტალიელი არქეოლოგი, ფრანცისკანელთა მინორიტების ორდენის პატრი. კ-მ არქეოლ. გათხრები ჩატარა მრავალ წმინდა ადგილას: „მწყემსთა ველი“ (ბეთლემის მახლობლად); ამაღლების ადგილი (ზეთისხილის მთა); ჰეროდიუმი (ციხე-სასახლე და ჰეროდეს დაკრძალვის ადგილი); მაქერონი (ჰეროდეს ციხესიმაგრე, იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის ადგილი); ბიზანტიური ბაზილიკა და მონასტერი (წებოს მთა, იორდანია); უფლის საფლავის ტაძარი; უძველესი ქ. მაგდალა].

კ. 1946-იდან გათხრებს ატარებდა პალესტინაში, ბეთლემის მახლობლად, ბირელ-კატის მიდამოებში, სადაც 1952 აღმოაჩინა V-VI სს. ქართ. მონასტრის ნანგრევები. ქართ. კულტურისა და დამწერლობის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოთხი ქართული მოზაიკური წარწერა, რ-ებიც მონასტრის იატაკზე აღმოჩნდა. ეს წარწერები უძველესია დღემდე ცნობილ ქართულ წარწერათა შორის (იხ. პალესტინის ქართული წარწერები).

ლიტ.: გ ი ო რ გ ა ძ ე ბ., პალესტინაში აღმოჩენილი ქართული კულტურის IV-V სს. ძეგლების შესახებ, „საბჭოთა ხელოვნება“, 1958, №12; ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე ვ., პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1974; წ ე რ ე თ ე ლ ი გ., უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960; ხ უ რ ც ი ლ ა ვ ა ბ., ბირელ-ქუტის წარწერების ქრონოლოგიისათვის, „საისტორიო კერტიკალები“, 2016, №35-36, V i r g i l i o P., C o r b o O. F. M., Gli Scavi di Kh.Siyar el-Ghanam (Campo dei Pastori) e i Moasteri dei Dintorni, Gerusalemme, 1955.

